

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

1.1. **ინტელექტუალური ისტორია -
ასოცირებული პროფესორი.**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ინტელექტუალური ისტორიის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ასევე:

- საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
- კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ფილოსოფიისა და ინტელექტუალური ისტორიის მიმართულებით;
- ინგლისური და ლათინური ენების ცოდნა;

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2019 წლის 21 სექტემბრიდან - 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 5.1. ბიოგრაფია (CV);
- 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/92321740786460>

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება 2019 წლის 25 სექტემბრიდან - 2019 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება 2019 წლის 30 სექტემბრიდან - 2019 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით.

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კანა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge